

კარდიოლოგიურ პაციენტთა უწყვეტი სამედიცინო მეთვალყურეობა
ჩაფიძის კარდიოლოგიური ცენტრი და სამცხე-ჯავახეთის
კარდიოლოგიური სამსახურები

მაია კაჭკაჭაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლაში ჯანდაცვის მენეჯმენტში*

*ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თენგიზ ვერულავა,

მედიცინის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მაია კაჭკაჭაშვილი

2015 წელი

აბსტრაქტი

შესავალი: ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმოს) მონაცემებით , მსოფლიოში ყოველწლიურად არაგადამდები დაავადებებით სამ მილიონამდე ადამიანი იღუპება და სიკვდილიანობის გამომწვევი მიზეზების 60%-ს შეადგენს .განვითარებად და დაბალგანვითარებულ ქვეყნებში აგდ-ს წილი სიკვდილიანობაში 80%-ს შეადგენს . საქართველოში ეს რიცხვი 95 %-ს აღწევს . არაგადამდებ დაავადებებში სიკვდილობის მაღალ რიცხვს განაპირობებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებები , მათი წილი 70%-ს შეადგენს , შესაბამისად ხშირია გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მიზეზით ჰოსპიტალია , სხვადასხვა ოპერაციული ჩარევა , ასეთ პაციენტებს მუდმივი მეთვალყურეობა ესაჭიროებათ , პოსტოპერაციულ პერიოდში მუდმივად საჭიროა კონტროლი , კვლევის მიზანია , შევისწავლოთ ხდება თუ არა კარდიოლოგიური პაციენტების მუდმივი უწყვეტი მეთვალყურეობა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის დონეზე , რა კვლევების ჩატარების და დახმარების აღმოჩენის საშუალება აქვთ რეგიონალურ საავადმყოფოებს .

მეთოდოლოგია: რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში განხორციელდა ბენეფიციართა გამოკითხვა სპეციალური სტრუქტურირებული კითხვარების მეშვეობით.

შედეგები, ინტერპრეტაცია: კარდიოლოგიურ პაციენტთა უწყვეტი სამედიცინო მეთვალყურეობა ჩაფიძის კლინიკასა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონალურ კლინიკებში მიმდინარეობს არსებულის რესურსის შესაბამისად , ყოველთვიურ კარდიოგრამას , ანალიზებს და კარდიოლოგის კონსულტაციას ადგილზე იტარებენ , ხოლო 6 თვეში ერთხელ ან საჭიროებისამებრ ისეთ კვლევებზე , როგორებიცაა ექოკარდიოსკოპია , კორონაროგრაფია , არითმოლოგის კონსულტაცია , აუცილებლად უწვთ ვიზიტი ჩაფიძის კლინიკაში , ოპერაციული ჩარევის აუცილებლობის შემთხვევაში , გეგმიურია , თუ სასწრაფო გადაუდებელი შემთხვევა , კარდიოლოგიური სტაციონარის არარსებობის გამო პაციენტებს უწევთ ჩაფიძის კლინიკაში წასვლა .

საყოველთაო დაზღვევის არსებობის გამო რეგიონში ჩატარებული კვლევების ძირითადი ნაწილი უფასოა ასეთი პაციენტებისთვის და ტერიტორიული

ხელმისაწვდომობის გამო მარტივია პაციენტებისთვის ადგილზე მეთვალყურეობა , რაც შეეხება ჩაფიძის კლინიკას , სამწუხაროდ არაპროვადერია რეგიონალური კლინიკების და უმეტეს შემთხვევაში იმ პაციენტებს , ვისაც არ აქვს კერძო დაზღვევა უწევთ თანხების გადახდა , ასევე რთულია ტერიტორიული დაშორების გამოც ხშირი ვიზიტები . ზოგიერთი პაციენტი საერთოდ არ აკითხავს ექიმს თუ შეუძლოს არ იგრძნო თავი და საგრძნობლად არ გაუუარესდა ჯანმრთელობის მდგომარეობა . დასკვნა .

რეკომენდაციები : კარდიოლოგიურ პაციენტთა უწყვეტი მეთვალყურეობისთვის მიზანშეწონილია მეტი ინფორმაციის მიწოდება პაციენტთათვის , რეგიონულ დონეზე კლინიკების აღჭურვა შესაბამისი აპარატურით, არსებულ ექიმთა გადამზადება , რეგიონულ დონეზე ახალციხეში კარდიოლოგიური სტაციონარული სამსახურის ჩამოყალიბება და აღჭურვა კვალიფიციური კადრებით . ლაბორატორიული ანალიზების სიზუსტის განსაზღვრა და მათი საიმედოობა , სამედიცინო პერსონალის მხრიდან მუდმივი მონიტორინგი , უკუკავშირი პაციენტებთან , დანიშნულების მუდმივი კონტროლი და პაციენტის მდგომარეობის შესაბამისად მისი ჩასწორება .